



gwp

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0618-0144144

D 10.12.2018

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბ-ნ ირაკლი ჩიქრაძის
მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 49 ა
ტელ: (+995 32)2 98 11 11

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი 2018 წლის 12 ოქტომბრის წერილი („კომპანიაში“ რეგისტრაციის ნომერი IN18-0148904) ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მ/რ-ში, კორპ. #36-ის მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობა #1-ში, პირველ სართულზე განთავსებული 184.06 კვ.მ შიდა ფართის (ს.კ: 01.14.16.009.036.01.501) განკარგვის საკითხზე.

მოგახსენებთ, რომ წერილში აღნიშნული ფართი ესაზღვრება ამავე მისამართზე მდებარე კომპანიის საკუთრებაში არსებულ ობიექტს (ს.კ: 01.14.16.009.036.01.500), სადაც განთავსებულია სასმელი წყლის სატუმბო სადგური და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა დიამენტის სასმელი წყლის მილები. აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის ნაწილს, რომლის სტატუსს არეგულირებს საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ და მის საფუძველზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2001 წლის 16 აგვისტოს გამოცემული N297/ნ ბრძანება, რომლითაც განსაზღვრულია „წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონების“ მარეგულირებელი სანიტარიული წესები და ნორმები.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტის თანახმად, სანიტარიული დაცვის ზოლის სიგანედ მიღებულია სატუმბო სადგურიდან 10 მ, ხოლო წყალსადენის ორივე განაპირა ხაზიდან 50 მ, სადაც აკრძალულია ნაგავსაყრელის, სასაფლაოს, ცხოველთა სამარხის, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საწარმოების და სხვა ობიექტების განთავსება, რომლებიც ქმნიან მიწისქვეშა წყლების მიკრობული დაბინძურების საშიშროებას.



აღნიშნულიდან გამომდინარე, „კომპანია“ ზემოაღნიშნული პირობების დაცვის
გათვალისწინებით თანახმაა გასასხვისებელი ფართის შემდგომ შეუფერხებელ ექსპლუატაციაზე.


პატივისცემით,

ლუკა ჩაჩიბაია

დირექტორი ოპერაციების მართვის დარგში